

„ვეფხისტყაოსნის“ თურქული თარგმანის ზოგიერთი საკითხისათვის

ნიქაბაძე ნონა

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

<https://doi.org/10.52340/idw.2021.511>

აბსტრაქტი. თარგმანის თეორიამ დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბებისთვის გარკვეული კზა განვლო. თარგმანის კომუნიკაციური მიმართულება გვიჩვენებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ორიგინალი ტექსტისადმი „ერთგულება“ და თარგმანის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია კულტურული ასპექტი. არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტის ურთადერთი თურქული თარგმანი, რომელიც პროფ. ბილალ დინდარსა და ასისტ. პროფ. ზეინელაბიდინ მაქასს გვუთვნის. პროფ. ბილალ დინდარი 1990 წელს საქართველოში სამეცნიერო კონგრესზე მიიწვიეს, სწორედ მაშინ ესტუმრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები უნახავს. გული დაწყვეტია, რადგან თარგმანებს შორის თურქული თარგმანი ვერ იპოვა. სწორედ ამის შემდეგ მიიღო „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის გადაწყვეტილება. ბილალ დინდარმა თარგმნის პროცესში, სერგი წულაძის „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანითა და აქმეთ ჯვარის აზერბაიჯანული თარგმანით ისარგებლა. თარგმანში ვხვდებით განსხვავებებს, რომლებიც განპირობებულია განსხვავებული ქრისტიანული და მუსლიმური კულტურებით, ასევე სხვადასხვა ენობრივი სისტემით და ისტორიული მეხსიერებით.

ნაშრომში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ თურქული თარგმანის ორიგინალთან მიმართების ერთ საკითხს, კერძოდ, სიტყვათა კლების შემთხვევებს. თარგმანში გამოტოვებულია და არაა თარგმნილი ქართული კულტურისთვის ნიშანდობლივი რეალიები (ჩანგი, მოლიზდარი, წყლოული, მუფარახი), თუმცა ზოგიერთ რეალიას თურქულ ენაში მოეპოვება შესატყვისი (*çeng, yara, llaç*), მაგრამ მთარგმნელი არ თარგმნის. ასევე კლება დასტურდება სინონიმებისა და შედარებების თარგმნისას (კრძალვით და რიდითა; ქუშად და დაღრუჯით; უკადრი) რითაც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს დამატებითი დინამიკა შემოაქვს ტექსტში. თურქულ თარგმანში ამ შედარებებისა და სინონიმების უთარგმნელობამ თარგმნილი ტექსტის დინამიკის რღვევა და ტექსტის დინამიკური სურათის შემსუბურება გამოიწვია. გამომდინარე აქედან, თარგმანი ვერ ახდენს ისეთივე ზემოქმედებას, როგორც ორიგინალი ტექსტი და მდორე თხრობად იქცევა.

საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“, თარგმანი, თურქული თარგმანი, რეალია, კლება.

ტერმინ „თარგმანს“ რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: თარგმანი არის შედეგი (თარგმნილი ტექსტი) ან პროცესი (თარგმანის აქტი). თარგმანი ორ განსხვავებულ ენას შორის მიმდინარე პროცესია.

„მე-12 საუკუნის ქართული პოეტური კულტურის გვირგვინი და დღემდე დაუძლეველი მწვერვალია შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (კეკლიძე, ბარამიძე, 1987:246).

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის ისტორია მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იწყება. იგი მსოფლიოს არაერთ ენაზეა თარგმნილი, არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანებიც;

„ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტის ერთადერთი თურქული თარგმანი პროფ. ბილალ დინდარისა და ასისტ. პროფ. ზეინელაბიდინ მაქასის სახელს უკავშირდება. პროფ. ბილალ დინდარი 1990 წელს საქართველოში სამეცნიერო კონგრესზე მიწვიეს, სწორედ მაშინ ესტუმრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები უნახავს. გული დაწყვეტია, რადგან თარგმანებს შორის თურქული თარგმანი ვერ იპოვა. ის ამბობს: „მიუხედავად იმისა რომ აჭარულ დიალექტს კარგად ვფლობდი, ქართულ ენასა და ლიტერატურას არ ვიცნობდი. რის გამოც შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის თარგმნის სირთულე აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის მცოდნე მეცობრის ასისტ. პროფ. ზეინელაბიდინ მაქასის დახმარებით დავძლიე...“ (Dindar, Makas 1991:2) მთარგმნელი აქვე დასმენს, რომ თარგმნის პროცესში, სერგი წულაძის ვეფხისტყაოსნის ფრანგული თარგმანითა და აპმეთ ჯევათის აზერბაიჯანული თარგმანით ისარგებლა. ვეფხისტყაოსნის თურქული თარგმანი ქალაქ სამსუნში 1991 წელს გამოიცა.

ნაშრომში განვიხილავთ „ვეფხისტყაოსნის“ თურქული თარგმანის ორიგინალთან მიმართების ერთ საკითხს, კერძოდ, სიტყვათა კლების შემთხვევებს.

წყარო ტექსტიდან სამიზნე ენაზე თარგმნილი არაა შემდეგი ლექსიკური ერთეულები: **ჩანგი, მოლიზდარი, წყლული, მუფარახი.**

მეფე საწოლს შემოვიდა სევდიანი, დაღრეჯილი
მისგან კიდევ არვინ შეჰვა, ავთანდილ უჩს ვითა შვილი
ყველა კაი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ-დაჯრილი
გაბედითდა სიხარული, ჩაღანა და **ჩანგი ტკბილი**

*Şah çekildi makamına, aşık surat, kalbi yara,
Yalnız Aftandil mahremdi, başkası girmedи ora.
Dağıldı tüm derber ehli, toplanmadı çoluk-çocuk,
Şahin keyfi düzelmedi; yürek sanki bir bir pare.*

ჩანგი (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=39&t=5365>) განმარტებულია შემდეგნაირად: „ქართული ხალხური გამოსაკრავი სიმებიანი საკრავი, არფის მაგვარი...“. თურქულ ენში ჩანგის მსგავსი მუსიკალური ინსტრუმენტის სახელწოდება **Çeng** გვხვდება; „*Açık aplardan köşeli arclar grubuna giren çalgıdır... Benzer çalgılar İran'da Chang, Gürcistan'da Changıdır*“ (მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც არფას ინსტრუმენტთა ჯგუფს მიკუთვნება, მსგავსი ინსტრუმენტები ირანში „ჩანგ“, ხოლო საქართველოში „ჩანგის“ სახელწოდებით გვხვდება) (Kuzucular 2015:1). მიუხედავად მიახლოებული შესატყვისის არსებობისა მთარგმნელმა ეს ქართული რეალია არ თარგმნა.

წავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულ-მდუღარისად,
თავ-ჩამოგდებით მტირლისა, არ ჭვრეტით **მოლიზდარისად**.
მუნჯე წვიმს წვიმა ბროლისა, ჰერა გიშრისა დარი სად,
ახლოს მივიდა, მოსცალდა სიტყვისა თქმად აღარისად.

*Bir kul ona yanaştı ki, bilsin acep nedir derdi,
Hayal aleminde gördü gözü yaşlı cengaveri.
Kara gözler akitiyor billur gibi katreleri,
Kul düşündü: Onunla konuşmanın değil yeri.*

ლექსიკური ერთეული „მოლიზდარისად“ მთარგმნელს არ აქვს გადატანილი თურქულ თარგმანში.

უბრძანა, თუ: „წადი, უხმე! უმისობა ვით გავსძლეო?
მოახსენე: „რად დაპბრუნდი შენ, მამისა სიცოცხლეო?
მოდი, ჭმუნვა გამიქარვე, გულსა წყლულსა მეწამლეო,

გითხრა ჩემი სამიზეზო, მე თუ ლხინთა რათ დავლეო.”

*Şah buyurdu: Çağır gelsin, ondan ayrı yaşiyamam,
Kızım niye geri döndü, tez sor benim hayatmdan.
Gel derdimi arz edeyim, sen de iyi dinle bari,
Kurtar beni dertlerimden, ümit üzmemi canımdan.*

თურქულ ენაში ასევე აზრობრივად იგივე შესატყვისი აქვს ლექსიკურ ერთეულ **წყლულს**, რომელიც ორიგინალ ტექსტში **ჭრილობის** მნიშვნელობით გვხვდება, პირდაპირი თარგმანი **ülser**-ია, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ სამედიცინო დატვირთვა აქვს და გულისხმობს კუჭის წყლულს. ხოლო, **yara**, რომლის მნიშვნელობებიცაა 1)ჭრილობა, იარა; 2)ტკივილი, ტანჯვა, წუხილი, იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც წყლულს. დივანის ლიტერატურამზი¹² ხშირად ვხვდებით **yara** ს მიჯნურთა მდგომარეობის აღწერისას. მაგ: “*Âşığın
yaralarının sebebi aşktır*”-მიჯნურის წყლულის გამღვივებელი სიყვარულია (**Akdemir 2007:38**).

ბრძანა: “შვილო, რაზომცა მჭირს საქმე სავაგლახია,
შენი ჭვრეტა და სიახლე ლხინადვე დამისახია,
მომქარვებელი სევდისა, მართ ვითა მუფარახია.
ვეჯ, რა სცნა, შენცა მამართლო, ჩემი სულთქმა და ახია.

*Şah buyurdu: Çok haklısun, gamın esiridir gönlüm,
Kalbimin tek tesellisi, her sevincim sensin benim.
Sen görünce gam dağılır...lakin benim ah-nalemin
Sebebini bilmış olsan, hak verirsin, ey güzelim!*

ვეფხისტყაოსანში ვხვდებით „სევდის მუფარახი“, **მუფარახი**, წამალს, გუნებაზე მომყვანს ნიშნავს, (<http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=18&t=4699>) თურქულ ენაში გვხვდება „**hüzünün ilaçı**“ (Ferşadoğlu 2013:1) იზაფეთური¹³ კონსტრუქცია, რაც „**სევდის წამალს**“ ნიშნავს, თუმცა მთარგმნელს **მუფარახის** შესატყვისი **İlaç** ლექსიკური ერთეულიც არ აქვს გამოყენებული სამიზნე ტექსტში:

სიტყვის კლება დასტურდება შემდეგ ტაქშიც:
ავთანდილ ლალი, უკადრი მივა, არვისგან ჰრცხვენოდა
Aftandil çok sevinip, istek ile düştü yola (გახარებული ავთანდილი, წადილით გზას გაუყვა)
მიუხედავად იმისა რომ თურქულ ენაში ზემოთ მოცემული ტაქსის ყველა ლექსიკურ ერთეულს აქვს შესატყვისი, თარგმნილი არაა შემდეგი სიტყვები: **უკადრი.... არვისგან ჰრცხვენოდა**.

შემდეგ ტაქშიცი გამოტოვებულია ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ერთმანეთის სინონიმებს წარმოადგენენ:

*Ömənəmən სələnəni დაუდგნა, დაჯდა კრძალვით და რიდითა
Hizmetçinin getirdiği iskemlede kumandanlar kumandanı
Oturarak sevinç ile seye daldı nazlı yarı.
რად ვზი ქუშად და დაღრუჯით ასრე მიხდილი ცნობისა?
Sebebini bilir misin kalbimdeki bu mihretin?*
თურქულ თარგმანში დინამიკა დარღვეულია, წყარო ტექსტიდან სამიზნე ენაზე

¹² კლასიკური თურქული ლიტერატურა (XII-XIII ს), რომელიც ანატოლიაში სპარსული ლიტერატურის გავლენით ჩამოყალიბდა; **Agah Sirri Levend**, Divan Edebiyatı: Kelimeler ve Remizler, Masmunlar ve Mefhumlar, İstanbul, 2017, გვ. 13-15.

¹³ იზაფეტი-ძალვრელ-საზღვრულის კონსტრუქცია

თარგმნილი არაა შედარებები, რის გამოც შემსუბუქებულია ტექსტის დინამიკური სურათი. გამომდინარე აქედან, თარგმანი ვერ ახდენს ისეთივე ზემოქმედებას, როგორც ორიგინალი ტექსტი და მდორე თხრობად იქცევა.

ტაქში: **მოახსენა ყმამან:** „**მზეო, ვინ გიშერი აწამწამე**“ - თარგმნილი არაა „**ვინ გიშერი აწამწამე**“ (ვისაც წამწამებად გიშერი გაქვს).

Oh! Güneşim benim! Diye, cevap Verdi koç Aftandil.

წყარო ტექსტში მოცემული მეტაფორა **გიშერი**, რომელიც **შავ წამწამებს** გამოხატავს, თარგმანში დაკარგულია. მიუხედავად იმისა რომ თურქულ ენაში გიშრის შესატყვისი არსებობს (**Oltu taşı**), შავ წამწამს გიშერს არ ადარებენ, იყენებენ ზედსართავებს *kara, siyah* (**შავი**). „დღანის ღიტერატურაში სილამაზის გამომხატველი ელემენტები: თმა, წარბი, თვალი, წამწამი შავია“ (Sefercioğlu, 2017:142).

როგორც დავინახეთ, „**ვეფხისტყაოსნის**“ თურქულ თარგმანში გვხვდება სიტყვათა კლების არაერთი შემთხვევა, რაც განპირობებულია ორი განსხვავებული კულტურის ფაქტორით, სათარგმნ ენაში შესატყვისის უქონლობით. რის გამოც შემსუბუქებულია თარგმანის დინამიკური სურათი.

ლიტერატურა:

- 1) **კველიძე კ., ბარამიძე ა.** (1987): ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.), თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა
- 2) **Akdemir, A.** (2007): Divan Şiirinde "Cünün" ve "Mecnün" Kavramları ile Bu Kavramların Fehim-i Kadîm Dîvânî'ndaki Kullanımı, bilig , Ahmet Yesevi Üniversitesi Mütevelli Heyet Başkanlığı, Bahar, sayı 41
- 3) **Agah Sırrı Levend**, (2017): Divan Edebiyatı: Kelimeler ve Remizler, Mazmunlar ve Mefhumlar, İstanbul,
- 4) **Dindar B., Makas Z.** (1991): (Çeviri) **Kaplan Postlu Şövalye**; Eser Matbaası, Samsun
- 5) **Fersadoglu, S.** (2013): Hüzün ilâcî, kederin düşmanı https://www.yeniasya.com.tr/saliha-fersadoglu/huzun-ilaci-kederin-dusmani_210049
- 6) **Kuzular, Ş. (2015)**: Çeng ve Çengi (Divan Şiirinde Çeng ve Çengi)
- 7) **Sefercioğlu, N.** (2012): “Yazı ve Yazı İle İlgili Unsurların Divan Şiirinde Kullanılışı”.ErişimTarihi:17.08.2012 <https://docplayer.biz.tr/28687895-Yazi-ve-yazi-ile-ilgili-unsurlarin-divan-siirinde-kullanilisi.html>

"The Knight of the Panther's Skin" - Some Issues of the Turkish Translation

Nikabadze Nona
Shota Rustaveli State University, Batumi

Abstract

Translation theory has gone some way towards becoming an independent discipline. The communicative direction of translation shows the importance of "fidelity" to the original texts and it is also essential to consider its cultural aspect. There is only a single completed Turkish translation of "The Knight in the Panther's Skin", which was translated by Dr Bylal Dindar and Dr Zeynelabidin Makas. In 1990, Dr Byblal Dindar was invited to Georgia for the scientific congress. It was then that he went to the Tbilisi State University where he discovered the different world language translations of "The Knit of the Panther's Skin". He became wistful when he could not find the Turkish translation. He thus decided to translate the poem into Turkish. In the translation process, Dr. Bylal Dindar utilized the French and Azeri translations of "The Knight in the Panther's Skin" translated by Sergi Tsuladze (French) and Ahmet Jevat (Azeri). The two translations are different, which is due to the differences between Christian and Muslim cultures, as well as different language systems and historical memory.

The research discusses a topic of the Turkish translation of "The Knight in the Panther's Skin", in particular, the occasions of the word absences. Translation misses and does not translate

the important Georgian realis (Changi, Molizghari, Tskluli, Mufarexi), The translation is missing and does not translate the important Georgian realis (Changi, Molizghari, Tskluli, Mupharexi), unless some of these realis have a Turkish equivalent (çeng, yara, ilaç), but the translator does not provide a translation. Similarly, the word omitting is confirmed in the synonyms and in the translation of the comparatives (Krdzalvit and Ridit, Qushad and Daghrejit, Ukadri), beneath which the author of "The Knight in the Panther's Skin" introduces another dynamism into the poem. This is why the Turkish translation has lost its dynamism while these synonyms and comparatives are not translated at all, thus simplifying the image of the dynamism of the text. Therefore, the Turkish translation does not have the same influence as the original text and is obscured to retell.

Keywords: "The Knight in the Panther's Skin", Translation, Turkish Translation, Realis, Omitted